

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის
მიზნობრივი პროგრამა

2018 წლისათვის
ზომის ერთეული ლარი

1. პროგრამის სახელწოდება:

0-200000 ქულის მქონე ოჯახებისათვის პირველ და მეორე ახალშობილზე
ერთჯერადი მატერიალური დახმარება

2. პროგრამის დაწყების და დასრულების თარიღი, ხანგრძლივობა:

“1 იანვარი“ 2018წ.
“31 დეკემბერი“ 2018წ.

3. პროგრამის ორგანიზაციული კოდი საბიუჯეტო კლასიფიკაციით: 06 02 08

4. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

18300 (თვრამეტიათასსამასი) ლარი

5. პროგრამის დაფინანსების წყაროები:

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტი 18300 ლარი.

6. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

7. პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა:

სოციალურად დაუცველი ოჯახების სტიმულირების მიზნით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა პროგრამა, რომელიც გულისხმობს მატერიალურ დახმარებას პირველ და მეორე ახალშობილზე იმ ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა 0-დან 200000-მდეა. პროგრამა ითვალისწინებს მატერიალურ დახმარების გაცემას პირველ ბავშვზე 300 ლარის და მეორე ბავშვზე 400 ლარის ოდენობით. საანგარიშო პერიოდში სარეიტინგო ქულის შესაბამისად გაიზარდა ბენეფიციართა რაოდენობა, რამაც გამოიწვია პროგრამის ბიუჯეტის გაზრდის აუცილებლობა.

8. პროგრამის მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები:

№	პროგრამის მიზნები	მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები
1	ერთჯერადი მატერიალური დახმარება 0-200000-მდე ქულის მქონე ოჯახებზე პირველ და მეორე ახალშობილზე.	პროგრამით მოსარგებლე პირთა რაოდენობა.

9. პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:

2018 წელი													
№	საქმიანობის აღწერა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	ერთჯერადი დახმარების გაწევა	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

10. პროგრამით მოსარგებლე პირთა რაოდენობა და კატეგორია:

პროგრამით ისარგებლებს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 0 - 200000-მდე სარეიტინგო ქულით დაფიქსირებული, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახები.

11. პროგრამით მოსარგებლე პირთა შერჩევის წესი:

პროგრამით ისარგებლებს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელვაჩაურის რაიონულ განყოფილებაში სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 0-დან 200000-მდე სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული ოჯახები.

12. პროგრამის ბიუჯეტი

ა) პროგრამის დაფინანსება წლების მიხედვით

№	წეაროს დასახელება		2018 წელი	2019 წელი	2020 წელი	სულ
	ძირითადი	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	18300			18300
	დამატებითი					
	სულ		18300			18300

ბ) პროგრამის ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით

№	პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დასახელება	ერთეულის დასახელება	რაოდენობა	ერთჯერადი დახმარების მოცულობა (ლარი)	სულ ღონისძიების ხარჯი (ლარი)
1	მატერიალური დახმარება პირველი შვილის შეძენისას	ოჯახი	5	300	1500
2	მატერიალური დახმარება მეორე შვილის შეძენისას	ოჯახი	42	400	16800
სულ ჯამი					18300

დამატებითი ინფორმაცია:

მატერიალური რესურსის გაცემის სქემა:

დაფინანსება ხორციელდება ინდივიდუალური განცხადებების საფუძველზე ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში:

1. განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
2. მშობლების პირადობის მოწმობის ასლები დედანთან ერთად;
3. შვილების დაბადების მოწმობის ასლები დედანთან ერთად;
4. ოჯახის სარეიტინგო ქულის დამადასტურებელი ამონაწერი;
5. განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტები.
6. საჭიროების შემთხვევაში – ქორწინების მოწმობა და სხვა დოკუმენტაცია.

შენიშვნა: სხვადასხვა მიზეზით დაგვიანებით მომართვის შემთხვევაში 2017 წლის დეკემბერში შვილის შექმნასთან დაკავშირებით ოჯახზე ერთჯერადი დახმარება გაიცემა შვილის შექმნის პერიოდში მოქმედი მიზნობრივი პროგრამით გათვალისწინებული სარგოს ფარგლებში.